

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის
ფარგლებში საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის და
შეფასების პილოტური ანალიზი

შინაარსი

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა	3
საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები	5
1. ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი	6
2. თბილისი-ბაკურიცხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-სართიჭალის (ლოტი 1) და სართიჭალა-საგარეჯოს (ლოტი 2) მონაკვეთების მშენებლობა.....	9
3. ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.....	12
4. სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა	16
5. ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის მშენებლობა.....	19
6. ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა.....	22
7. ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლის მშენებლობა.....	25
8. ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლის მშენებლობა	28
9. სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა	31
10. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა	34
11. სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალური ოფისის მშენებლობა.....	37
საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების რეესტრი.....	40
დანართი - საინვესტიციო პროექტების კონცეფციის ბარათები და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დოკუმენტები.....	41

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საინვესტიციო პროექტების სრულის ციკლის დანერგვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეფორმის ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან.

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვის (Public Expenditure Review) საფუძველზე, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება (ცვლილება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში). აღნიშნული გზამკვლევი და მეთოდოლოგია არეგულირებს 5 მლნ ლარზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტების მომზადების, წინასწარი შერჩევის, შეფასების, ბიუჯეტირების, განხორციელების, მონიტორინგის და განხორციელების შემდგომი შეფასების პროცესებს.

საინვესტიციო პროექტების მართვის სრულყოფილად დანერგვის შედეგად გაუმჯობესდება საინვესტიციო პროექტების შერჩევის მექანიზმები და უზრუნველყოფილი იქნება ობიექტურ ანალიზზე დაფუძნებული პროექტების გათვალისწინება ბიუჯეტში. აღნიშნული კი თავის მხრივ გააუმჯობესებს საშუალოვადიან დაგეგმვას და სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენებას.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის დანერგვა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან შესაბამისი ცოდნის მიღებისა და ტრენინგების საჭიროების კუთხით. ამ მიზნით 2017 წლიდან შესაძლებლობების ფარგლებში, დონორების (WB, USAID, EU, GIZ და სხვა) მხარდაჭერით, უკვე ჩატარდა არაერთი ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა საქართველოს სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის და აქტიურად გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის თანმიმდევრული დანერგვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით 2018 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების დოკუმენტი (Public Investment Management Assessment Report - PIMA), შემუშავდა რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა 2018-2021 წლებისთვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 8 ოქტომბრის №385 ბრძანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საინვესტიციო პროექტების შეფასების და შესაბამისი ღონისძიებების შესასრულებლად. დონორების მხარდაჭერით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეხმარება როგორც საერთაშორისო, აგრეთვე ადგილობრივი ექსპერტი აღნიშნული სისტემის დანერგვასა და მეთოდოლოგიური მითითებების დახვეწაში.

2019 წელს განხორციელდა ცვლილება „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებაში (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N679 დადგენილება) და დაკორექტირდა მთელი რიგი რეგულაციები. კერძოდ:

- გზამკვლევი გავრცელდა ყველა საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5 მლნ ლარს დაფინანსების წყაროს მიუხედავად (მ.შ.

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები და სახელმწიფო საწარმოების სახსრებით დაფინანსებულ პროექტებზე. ამასთან, სახელმწიფო კორპორაციებზე გზამკვლევი გავრცელდება იმ შემთხვევაში თუ საინვესტიციო პროექტის მთლიანი ღირებულება აჭარბებს მისი აქტივების 10%-ს).

- განისაზღვრა გარკვეული რეგულაციები საჯარო და კერძო პარტნიორობის პროექტებთან მიმართებაში, მათ შორის ამ ტიპის პროექტების განხილვის პროცესი.
- გზამკვლევით დაზუსტდა და ნათლად განისაზღვრა საინვესტიციო პროექტების სასიცოცხლო ციკლის თითოეულ ეტაპზე საინვესტიციო პროექტების ინიციატორი და განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს როლები და პასუხისმგებლობები.
- შეიქმნა საინვესტიციო პროექტების მართვის უწყებათაშორისი კომისია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2019 წელს განახლდა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და დამტკიცდა სამუშაო ჯგუფის დებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის N411 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების რეესტრის ფორმა. ასევე, მომზადდა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ელექტრონული მოდულის კონცეფცია. დაგეგმილია აღნიშნული მოდულის ინტეგრირება ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ პროგრამაში (ebudget.ge).

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვა მნიშვნელოვანი კომპონენტია ევროკავშირის ფინანსური დახმარების (EU - ეკონომიკური მმართველობა და ფისკალური ანგარიშვალდებულება) რეფორმის ფარგლებში.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ 2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილებზე. შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკებისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. შემცირდა ყველა ის პროგრამა, რომელთა არგანხორციელება ან/და დროში გადაწევა მნიშვნელოვნად არ დააზიანებდა შესაბამის სექტორს, მათ შორის ბუნებრივი ფაქტორების (პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები) გათვალისწინებით შეიზღუდა კულტურული, სპორტული და ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები. კაპიტალური პროექტების ნაწილში მნიშვნელოვანი შემცირება შეეხო ტურისტულ ინფრასტრუქტურას.

შესაბამისად, შეფერხდა როგორც არსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ასევე შეზღუდულია ახალი პროექტების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები. მიუხედავად ამისა, განხორციელდა 11 ახალი კაპიტალური პროექტის შეფასება, რომელთა ინიცირება განხორციელდა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სახალხო დამცველის აპარატის მიერ.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის ციკლის ფარგლებში პირველად 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პაკეტის შემადგენელი ნაწილი გახდა ახალი საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზები და წარედგინა საქართველოს პარლამენტს შემაჯამებელ ანგარიშთან ერთად.

წარმოდგენილი ინფორმაცია აჯამებს სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ 11 საინვესტიციო პროექტს. საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი ემყარება ინიციატორი უწყების მიერ წარმოდგენილ დაშვებებს.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოკლე შემაჯამებელ ინფორმაციას ყველა პროექტთან მიმართებაში, მათ შორის ძირითად დაშვებებს, მსჯელობის ლოგიკას და ანალიზის შედეგებს (NPV, IRR, ENPV, EIRR). დოკუმენტს თან ახლავს დანართები, რომელიც მოიცავს თითოეული პროექტის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზს, მათ შორის დაშვებებს და მათგან გამომდინარე კალკულაციებს, პროექტის შექმნის, შენახვისა და ოპერირების ხარჯებს პროექტის სრული ციკლის მანძილზე (ანალიზის პერიოდი განსაზღვრულია მეთოდოლოგიით), შემოსავლების პროგნოზებს და მათ ალტერნატივებს.

პროექტების ნაწილისათვის სამუშაო ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია მათი შემდგომ ეტაპზე გადასვლა და ხარჯების საშუალოვადინ პროგნოზებში მათი ასახვა. ნაწილისათვის რეკომენდირებულია დამატებითი ანალიზი შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ხოლო პროექტების ნაწილის დაფინანსებასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფს ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია მათი ხარჯების პროგნოზებში ასახვა.

სამუშაო ჯგუფი კვლავ აგრძელებს ამ პროექტების, ასევე სხვა ახალი პროექტების ანალიზზე და დაშვებების დახვეწაზე მუშაობას და დონორული მხარდაჭერით შესაბამის ექსპერტებთან თანამშრომლობას.

ქვემოთ განხილულია სამუშაო ჯგუფის მიერ შეფასებული შემდეგი საინვესტიციო პროექტების შემაჯამებელი ინფორმაცია:

1. ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი;
2. თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-სართიჭალის (ლოტი 1) და სართიჭალა-საგარეჯოს (ლოტი 2) მონაკვეთების მშენებლობა;
3. ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;
4. სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა;
5. ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის მშენებლობა;
6. ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა;
7. ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლის მშენებლობა;
8. ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლის მშენებლობა;
9. სსიპ - თბილისის ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა;
10. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა;
11. სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალური ოფისის მშენებლობა.

1. ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შპს „ენგურჰესი“)
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	წარმოდგენილი პროექტი მოიცავს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაციას. ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია დასრულება საშუალოვადიანი პროგრამის მიხედვით. პროექტის მიზანი არის: • გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგვების შემცირება; • ავარიული უბნების რემონტი; • აგრეგატების საიმედოობის გაზრდა; • ავარიული გაჩერებების პრევენცია; • ტრანსპორტირების პირობების გაუმჯობესება; • მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობების გამოცვლა; • ლამის ამოწმენდა და შესაბამისად მისაყრდნობი ფარის გამოყენება სიღრმული წყალსაშვების ფარების რემონტისათვის.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	ენგურჰესის სადაწნო გვირაბზე დიდია ფილტრაციული დანაკარგები. მრავალ ადგილას დაზიანებულია გვირაბის ბეტონის მოსახვა. დაზიანებულია 1-ლი, მე-2 და მე-5 სატურბინე მილსადენები. წყალსაცავში დაღამვის მაღალი დონის გამო შეუძლებელია მისაყრდნობი ფარის ჩაშვება, ასევე შეუძლებელი გახდება სიღრმული ფარების ექსლუატაცია: ლამის ამოწმენდა და შესაბამისად მისაყრდნობი ფარის გამოყენება სიღრმული წყალსაშვების ფარების რემონტისთვის. ენგურჰესთან მისასვლელი გზის საფარის აღდგენა (14კმ.). ვარდნილის არხის მარეგულირებელი ფარების აღდგენა. პროექტის განხორციელების შედეგად აღმოიფხვრება ფილტრაციული წყლების გაზრდილი მოდინება, შემცირდება ელენერგიის ხარჯი ტუმბოების მუშაობაზე. შემცირდება ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯები. ჰეს-ის მუშაობის საიმედოობის ამაღლება. უქმი წყალსაშვი ფარების შემჭიდროების დაზიანების შედეგად წყლის დიდი ოდენობით კარგვისა და შესაბამისად ელენერგიის

	გამომუშავების შემცირების თავიდან არიდება.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	რეაბილიტაცია
მოთხოვნილი დაფინანსება ¹	-	96 000 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ²	47 937 015,3 ლ	24 074 461,0 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ³	62 048 645,5 ლ	66 138 954,4 ლ
NPV ⁴	178 527 226,30 ლ	442 606 736,26 ლ
IRR ⁵	-	75%
B/C ⁶	1,31	2,15

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

პროექტის განხორციელება არის უმნიშვნელოვანესი მისი ფუნქციებიდან გამომდინარე. ჰესის რეაბილიტაცია უსაფრთხოების ნორმების დაცვით მნიშვნელოვანია ჩატარდეს 10-14 წელიწადში ერთხელ, რადგან დაცული იყოს მისი სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის ყველა წესი. ამასთან, რეაბილიტაციის შემდგომ გაიზრდება ჰესის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება და შესაბამისად გაიზრდება მისი რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალიც.

პროექტში წარმოდგენილი გათვლების საფუძველზე ჩანს, რომ ჰესის რეაბილიტაცია არის ეკონომიკურად მომგებიანი პროექტი და მიზანშეწონილია მისი განხორციელება. ამასთან, პროექტი არის ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი მისი დანიშნულებიდან

¹ რეაბილიტაციის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 96 000 000 ლარი.

² ხარჯებში შედის: საწარმოო ხელფასები, ადმინისტრაციული ხელფასები, ტრანსპორტის ხარჯი, საგადასახადო ხარჯი, კომერციული ხარჯები, საპროცენტო ხარჯი და სხვადასხვა ხარჯები.

³ შემოსავლებში შედის გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

გამომდინარე, რადგან ჰესის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობამ შესაძლოა ქვეყანა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანოს

პროექტი, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს.

დანართი#: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

2. თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-სართიჭალის (ლოტი 1) და სართიჭალა-საგარეჯოს (ლოტი 2) მონაკვეთების მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-სართიჭალის (ლოტი 1) და სართიჭალა-საგარეჯოს (ლოტი 2) მონაკვეთების მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/უწყება</i>	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	პროექტში განხილული მონაკვეთი წარმოადგენს თბილისიდან საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი რეგიონის, კახეთის მიმართულებით დამაკავშირებელ ძირითად მაგისტრალს და ასევე აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონთან დამაკავშირებელ სატრანზიტო კორიდორს. გზის მშენებლობის ტექნიკური პარამეტრები: - საპროექტო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 35.2 კმ-ს - მიწის ვაკის სიგანე - 28 მ - სამომრავო ზოლების რაოდენობა - 4 - სავალი ნაწილის სიგანე გამაგრების ზოლით - 11 მ თითოეულ მიმართულებაზე - სავალი ზოლის სიგანე - 2x3.75 მ თითოეულ მიმართულებაზე - უსაფრთხოების ზოლის სიგანე - 0.5 მ თითოეულ მიმართულებაზე - გამაგრებული გვერდულების სიგანე - 2.5 მ თითოეულ მიმართულებაზე - საანგარიშო სიჩქარე - 120 კმ/სთ
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული წარმატებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აღნიშნული მიმართულებით სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობა. თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთზე 2019 წლის მონაცემებით ავტოტრანსპორტის წელიწადში საშუალო დღიური ინტენსივობა (AADT) შეადგენს 14 300 ავტომობილს დღე-ღამეში, რაც საგრძნობლად აღემატება არსებული 2 ზოლიანი საავტომობილო გზის გამტარუნარიანობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არსებული გზა გადის ისეთ მჭიდროდ დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებში როგორებიცაა, ვაზიანი, სართიჭალა, ნინოწმინდა და საგარეჯო, სადაც დასახლებული პუნქტების სპეციფიკიდან

	გამომდინარე ხდება ადგილობრივი ავტოტრანსპორტის გამჭოლად გამავალ სარანსპორტო ნაკადებთან შერწყმა-აღრევა, ქვეითად მოსიარულებების მიერ გზით სარგებლობა და ამასთანავე პირუტყვთა მიერ სავალი ნაწილის დაკავება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ავტოტრანსპორტის გადაადგილებას და საფრთხეს უქმნის როგორც მგზავრთა, ასევე ქვეითთა უსაფრთხოდ გადაადგილებას, აღნიშნულს ამასთანავე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გადაადგილების დროსა და ხარჯებზე. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში, ალტერნატიული მიმართულებების და მრავალფუნქციური შედარებების საფუძველზე დადგინდა, რომ ავტოტრანსპორტის პროგნოზირებული ინტენსივობა საშუალო ზრდის ტემპით შემდეგი 20 წლის განმავლობაში გაიზრდება (2040 წლისათვის AADT შეადგენს 33 688-ს) და ახალი 4 ზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობა ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე კრიტიკულად აუცილებელია თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთისათვის, რომლის მარშრუტიც სრულიად აუვლის გვერდს დასახლებულ პუნქტებს, რაც გაზრდის დერეფნის გამტარუნარიანობას, შემცირდება გადაადგილების დრო და ხარჯები, გაიზრდება გადაადგილების სიჩქარეები, საგრძნობლად გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება და განიმუხტება დასახლებული პუნქტები.
შეფასების პერიოდი	23 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები	გზის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება ⁷	600 000 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁸	14 745 341,9 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁹	204 397 685,0 ლ
NPV ¹⁰	661 949 079,05 ლ

⁷ ახალი გზის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 600 000 000 ლარი.

⁸ ხარჯებში შედის: საინვესტიციო ხარჯი, ექსპლუატაციის ხარჯი და არაპირდაპირი გადასახადი.

⁹ შემოსავლებში შედის: ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯის შემცირება, გადაადგილების დროის ხარჯის შემცირება, ავტო-საგზაო შემთხვევების შემცირების სარგებელი.

¹⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

IRR^{11}	18,0%
B/C^{12}	2,21

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 23 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არის მომგებიანი 23 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

პროექტის განხორციელება არის უმნიშვნელოვანესი მისი ფუნქციებიდან გამომდინარე. არსებული გზა გადის ისეთ მჭიდროდ დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებში როგორებიცაა, ვაზიანი, სართიჭალა, ნინოწმინდა და საგარეჯო, სადაც დასახლებული პუნქტების სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება ადგილობრივი ავტონტრანსპორტის გამჭოლად გამავალ სარანსპორტო ნაკადებთან შერწყმა-აღრევა, ქვეითად მოსიარულებების მიერ გზით სარგებლობა და ამასთანავე პირუტყვთა მიერ სავალი ნაწილის დაკავება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ავტონტრანსპორტის გადაადგილებას და საფრთხეს უქმნის როგორც მგზავრთა, ასევე ქვეითთა უსაფრთხოდ გადაადგილებას, აღნიშნულს ამასთანავე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გადაადგილების დროსა და ხარჯებზე. ახალი 4 ზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობა ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე კრიტიკულად აუცილებელია თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთისათვის, რომლის მარშრუტიც სრულიად აუვლის გვერდს დასახლებულ პუნქტებს, რაც გაზრდის დერეფნის გამტარუნარიანობას, შემცირდება გადაადგილების დრო და ხარჯები, გაიზრდება გადაადგილების სიჩქარეები, საგრძნობლად გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება და განიმუხტება დასახლებული პუნქტები.

პროექტით წარმოდგენილი გათვლები ეყრდნობა უკვე ჩატარებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, კვლევაში გაანალიზებულია რამდენიმე ალტერნატივა, მათ შორის განხილულია გზის საფარის ორი ტიპი, ასფალტო-ბეტონის და ცემენტო-ბეტონის გზის მშენებლობა, ეკონომიკურმა დასაბუთებამ რეკომენდაცია გაუწია ცემენტო-ბეტონის საფარს მისი საექსპლოატაციო მახასიათებლების, ხანმედეგობის, სასიცოცხლო ციკლის და ადგილობრივი მასალის გამოყენებიდან გამომდინარე.

პროექტში წარმოდგენილი გათვლების საფუძველზეც ჩანს, რომ გზის მშენებლობა არის ეკონომიკურად მომგებიანი პროექტი და მიზანშეწონილია მისი განხორციელება. ამასთან, პროექტი არის ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი დანიშნულებიდან გამომდინარე.

პროექტი, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს.

დანართი#: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები.

¹¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 8%-ს შეადგენს

¹² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

3. ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტი
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/ავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“)
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციასა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტს აფინანსებს საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) - სესხი - 58 მილიონი. პროექტი მოიცავს ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაციასა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას. პროექტის ბენეფიციარია ხაშურისა (მოსახლეობა-29,354) და მიმდებარე სამი სოფლის: ზემო ოსიაური (მოსახლეობა-1,384), ქვემო ოსიაური (მოსახლეობა-734) და ცხრამუხა (მოსახლეობა-1,728) მოსახლეობა. პროექტი მოიცავს სათავე ნაგებობების, არსებული რეზერვუარების, სატუმბი სადგურების რეაბილიტაციას, დამატებით ახალი რეზერვუარების და საქლორატორო სადგურების მშენებლობას. არსებული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციასა და გაფართოებას. ასევე გულისხმობს არსებული საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციას და გაფართოებას. პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	ქალაქ ხაშურის წყალმომარაგების ქსელი მხოლოდ ნაწილობრივ არის განვითარებული. შესაბამისად მოსახლეობის დაახლოებით მხოლოდ 50% (29,354 ადამიანი) მარაგდება ამჟამად ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემით, ხოლო დანარჩენი ნაწილი იყენებს საკუთარ ჭებს. ხაშურის წყალმომარაგება შეზღუდულია; მომხმარებელთა 80% წყალს იღებს დღეში 4 საათით, ხოლო 20% 10 საათით. ჭის წყალი კი სასმელად უვარგისია, რადგან ხშირ შემთხვევაში კანალიზაციის წყალი უერთდება. პროექტის განხორციელების შედეგად ხაშურის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება გაუმჯობესებული 24 საათიანი წყალმომარაგებისა და გამართული წყალარინების ქსელით. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის

	შემდეგ, ჩამდინარე წყლების წმენდის სრულ ბიოლოგიურ ციკლს განახორციელებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რეგიონში გარემოს დაბინძურების რისკებს.
შეფასების პერიოდი	20 წელი

პროექტის ძირითადი ფინანსური მახასიათებლები¹³

დასახელება	თანხა (ევრო)
წყალმომარაგების სისტემა	21,463,809
პირველი ეტაპი (პრიორიტეტული)	5,701,666
მეორე ეტაპი	6,161,560
მესამე ეტაპი	4,741,418
მეოთხე ეტაპი	4,859,165
წყალარინების სისტემა	7,459,100
პირველი ეტაპი (პრიორიტეტული)	973,000
მეორე ეტაპი	2,216,565
მესამე ეტაპი	3,805,424
მეოთხე ეტაპი	464,111
წყალარინების გამწმენდი ნაგებობა	10,932,000
სულ ინვესტიციის ღირებულება	39,854,909
დეტალური პროექტირება	2,166,410
პროექტის განხორციელების ხარჯები	2,738,606
სულ	44,759,925

როგორც ცხრილშია ნაჩვენები, პირველი ეტაპის, პრიორიტეტული პროექტის კაპიტალური ხარჯები შეადგენს: წყალმომარაგების სისტემა - 5 701 666 ევროს და წყალარინების სისტემა - 973 000 ევროს, სულ ჯამში - 6 674 666 ევროს.

ეკონომიკური ანალიზის დოკუმენტში პრიორიტეტული ღონისძიებების, შემუშავებული საპროგნოზო მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე გამოთვლილია პროექტის წმინდა ახლანდელი ღირებულება NPV და FIRR.

(1000 ევრო)

დასახელება	NPV (5%)	FIRR
ფულადი ნაკადების შემოდინება		

¹³ პროექტის ეკონომიკური ანალიზი მომზადებულია დონორის მიერ და თან ახლავს დანართის სახით.

დასახელება	NPV (5%)	FIRR
შემოსავლები	12,460	
აქტივების ნარჩენი ღირებულება	2,213	
ფულადი ნაკადების გადინება		
ინვესტიციები	6,614	
აქტივების ჩანაცვლება	1,268	
არსებული აქტივების ჩანაცვლება	2,102	
სულ საოპერაციო ხარჯები	6,550	
სულ შემოსავალი პროექტიდან	-1,861	2.01%

წარმოდგენილი შედეგების საფუძველზე, რეალური საპროცენტო განაკვეთის 5%-ის პირობებში NPV უარყოფითია და FIRR ამ მაჩვენებელზე დაბალია. შესაბამისად პროექტის განხორციელება ფინანსური თვალსაზრისით გრანტების გარეშე შეუძლებელია.

ეკონომიკური ანალიზის დოკუმენტში გაკეთებულია დასკვნა, რომ პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტი ფინანსურად მდგრადია, მაშინაც კი თუ შემოთავაზებული საინვესტიციო პროგრამის დარჩენილი ფაზები ვერ განხორციელდება და ამის ნაცვლად გამოიყენება დაბალი ბიუჯეტის ჩანაცვლების სტრატეგია, გრანტის არსებობის პირობებში.

ქვემოთ მოცემულია პრიორიტეტული პროექტის ეკონომიკური მაჩვენებლის ინდიკატორი (1000 ევროში):

სარგებლის ახლანდელი ღირებულება	
non-incremental წყლის მიწოდება	10,637
incremental წყლის მიწოდება	1,538
წყლის მოხმარება (არაშემოსავლიანი)	710
ჯანმრთელობის სარგებელი წყლის მიწოდება	70
სულ სარგებელი	12,955
ეკონომიკური ხარჯების ახლანდელი ღირებულება	
კაპიტალური ხარჯები და ჩანაცვლება	5,427
საოპერაციო ხარჯები	6,149
სულ ხარჯები	11,576
NPV	1,379
IRR	11.05%
Benefit cost Ratio	1.12

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

პროექტის ინიციატორის მიერ წარმოდგენილი შედეგების საფუძველზე, რეალური საპროცენტო განაკვეთის 5.0%-ის პირობებში NPV უარყოფითია და FIRR ამ მაჩვენებელზე დაბალია. შესაბამისად პროექტის განხორციელება ფინანსური თვალსაზრისით გრანტების გარეშე შეუძლებელია. 2014 წელს ჩატარებული კვლევის რეპორტში გაკეთებულია დასკვნა, რომ პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტი ფინანსურად მდგრადია. ანალიზის შედეგად “Benefit-Cost” კოეფიციენტი არის 1.12 (გაანგარიშება გაკეთებულია ევროში), რაც ნიშნავს რომ პროექტის პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელების შედეგად სარგებელი აჭარბებს დანახარჯებს. კვლევაში ნათქვამია, რომ ხაშურის პროექტი ეკონომიკურად ეფექტიანია და დონორის მხარდაჭერით მისი განხორციელება მიზანშეწონილია.

ამასთან, მიმდინარე წელს განხორციელდა 2014 წელს მომზადებული ეკონომიკური ანალიზის გადანგარიშება განახლებულ ფასებთან მიმართებაში, ასევე განახლდა პროექტის სცენარები.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით პროექტი სოციალური ასპექტის გათვალისწინებით აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, გაგრძელდება მუშაობა პროექტის ფარგლებში პრიორიტეტული ეტაპების დამატებით განხილვის მიმართულებით. საშუალოვადიან პერიოდში პროექტისთვის გათვალისწინებულია 190.0 მლნ ლარი.

დანართი: გთხოვთ, იხილეთ შესაბამისი დოკუმენტები

4. სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	სსიპ - კოლეჯის „ბლექსი“ იურიდიული მისამართია - ქ. ბათუმი. ლერმონტოვის ქ. №92ა. შენობის საერთო ფართობი შეადგენს 2071,9 კვ.მ. კოლეჯი ახორციელებს 13 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას: მათ შორის, 4 პროგრამა ხორციელდება მხოლოდ დუალური მიდგომით: 4 პროგრამა როგორც მოდულური, ასევე დუალური მიდგომით: ხოლო ორი პროგრამა - ინტეგრირებული მიდგომითაც. აღნიშნული ავტორიზებული პროგრამების საფუძველზე კოლეჯს შემუშავებული აქვს 19 პროფესიული მოზადებისა და პროფერსიული გადამზადების პროგრამა და ახორციელებს მათ პარტნიორ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით. შენობა, რომელშიც ამჟამად განთავსებულია კოლეჯი არის ავარიული, რაც დასტურდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 30 ოქტომბრის დასკვნით შენობის ფართის სიმცირის გამო ვერ ხერხდება შრომის ბაზარე მოთხოვნადი ახალი პროგრამების დანერგვა, რაც უკვე ახალ სივრცეში არის გათვალისწინებული. აჭარა ტურისტული რეგიონია, სადაც ფართო მასშტაბით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული მშენებლობები. შესაბამისად, მაღალია მოთხოვნა ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებების მაღალკვალიფიციურ კადრებზე და აღნიშნული სექტორების განვითარებისათვის საჭირო სხვა მომიჯნავე დარგებზე. აღსანიშნავია ასევე, რეგიონში ფართო სპექტრით წარმოდგენილი სამკერვალო ფაბრიკები, რომლებსაც სამუშაო ძალის მუდმივი საჭიროება გააჩნიათ. მოცემულ ეტაპზე სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ სექტორებში დამსაქმებლის მზარდ მოთხოვნას. ამასთან, პროფესიული განათლების მიღმა რჩება ბევრი დაინტერესებული პირი. ბოლო სამი წლის სწავლის მსურველთა რაოდენობა 3 - ჯერ აღემატებოდა კოლეჯის მიერ გამოყოფილი ადგილების რაოდენობას. კერძოდ: 2018 წელს სწავლის მსურველთა რაოდენობა შეადგენდა 639 პირს, ჩაირიცხა - 220 პირი, 2019 წელს აპლიკანტების

	რაოდენობა შეადგენდა 703- ს და ჩაირიცხა 221 სტუდენტი, ხოლო 2020 წელს გამოცხადებულ 162 ადგილზე დარეგისტრირდა 541 პირი. 2018 წლის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელია 64%, ხოლო 2019 წლის 59%.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია „ტურიზმის“, „მშენებლობის“, „ტრანსპორტის“, „IT ტექნოლოგიებისა“ და „ტექსტილის“ მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რაც ითვალისწინებს მინიმუმ 500 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად სწავლის საშუალებას. ასევე, აღნიშნული მიმართულებების ფარგლებში კოლეჯი დამატებით განახორციელებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, რაც აღმოფხვრის იმ დეფიციტს, რაც იკვეთება შრომის ბაზარზე კადრების რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი დეფიციტის ფარგლებში. პროექტის ფარგლებში ახალი შენობა შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას გააორმაგოს კოლეჯში ამ ეტაპზე არსებული საკვალიფიკაციო და მომზადება-გადამზადების პროგრამების რაოდენობა. ხოლო სტუდენტების რაოდენობა 3-ჯერ გაიზრდება.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ახლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება	-	15,000,000 ლ
კაპიტალური ხარჯი	-	15,000,000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ¹⁴	1,086,592.1 ლ	866,276.6
საშუალო წლიური შემოსავალი ¹⁵	1,750,565 ლ	1,956,128.3 ლ

¹⁴ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი

<i>NPV</i> ¹⁶	7,558,700.40 ლ	-2,838,561.39 ლ
<i>IRR</i> ¹⁷	-	2%
<i>B/C</i> ¹⁸	1,64	0,88

სამუშაო გეგმის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი). თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ასაკის ადამიანის განვითარებას, მისთვის როგორც სრულფასოვანი ცოდნის მიწოდებას, ასევე ამ ცოდნის შემოქმედებითი დამუშავების და პრაქტიკული გამოყენების უნარებით აღჭურვასაც.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, პროექტი საჭიროებს დამატებით განხილვას, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

დანართი: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

¹⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

¹⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

¹⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

5. ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, გლდან-ნაძალადევის რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება. სსიპ - ქ. თბილისის №10 საჯარო სკოლა აშენდება 3,717 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, შესაძლებელია სამსართულიანი 700 (1,400 მოსწავლე ორ ცვლაში) მოსწავლეზე გათვლილი სკოლის შენობის აშენება. მოსწავლეებს ექნებათ სსიპ - ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლის ინოვაციური, ენერგოეფექტური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს. სასწავლო პროცესის ორ ცვლაში დაგეგმვის შემთხვევაში, დაკმაყოფილდება მოსწავლეთა სრული კონტიგენტი ისე, რომ არ მოხდეს მათი იძულებითი გადინება სხვა სკოლებში.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	ამჟამად სკოლაში ყოველგვარი სტანდარტების გარეშე სწავლობს 1,300-მდე მოსწავლე, მათ შორის 20-მდე მოსწავლე სსსმ სტატუსით. სკოლას არ გააჩნია თანამედროვე კლასკაბინეტები, სააქტო და დახურული სპორტული დარბაზი. ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლის ავარიული ფლიგელი გაუქმებულია და სკოლა ფუნქციონირებდა ორ ცვლაში, შენობის უსაფრთხო ნაწილში. 2019-2020 სასწავლო წელს სააგენტოს მოთხოვნით, დაუყოვნებლივ მოხდა მოსწავლეთა გადაყვანა ალტერნატიულ ფართში, ქ. თბილისის N22 საჯარო სკოლის შენობაში, ვინაიდან სკოლის შენობას ემატებოდა დაზიანებები და მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჯანმრთელობას ექმნეოდა საფრთხე. სასწავლო პროცესი წარიმართა ორ ცვლაში. სამინისტროს მიერ გარემონტდა N22 საჯარო სკოლის ფლიგელი, მოეწყო დამატებითი საკლასო ოთახები, უზრუნველყოფილი იქნა მოსწავლეთა ტრანსპორტირება N10 საჯარო სკოლიდან N22 საჯარო სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული ფართი მოწყობილია N10 საჯარო სკოლის საჭიროებების შესაბამისად, ერთი სკოლის შენობაში ორი საჯარო სკოლის ფუნქციონირება გარკვეულ რისკებს შეიცავს.

	განსაკუთრებით, საყურადღებოა, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესრულების ვალდებულება, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. აღნიშნული რეკომენდაციების სრულად და ხარისხიანად შესრულება მოითხოვს ადამიანური და ფინანსური რესურსის დიდ დანახარჯს. სასწავლო ფართის სიმცირის გამო შეუძლებელია საკლასო ოთახებში ერთმეტრიანი დისტანციის დაცვით ყველა მოსწავლის მიღება, შესაბამისად, N10 საჯარო სკოლა იძულებულია, მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების მიზნით, გამოიყენოს სწავლების შერეული მოდელი და გარკვეული კლასები გადაიყვანოს სწავლების სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულ მოდელზე.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ახალი სკოლის აშენება
<i>მოთხოვნილი დაფინანსება¹⁹</i>	-	8 515 000 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები²⁰</i>	1 822 222 ლ	1 562 482 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი²¹</i>	1 268 104 ლ	1 402 126 ლ
<i>NPV²²</i>	-5,858,513.56 ლ	-9,678,095.51 ლ
<i>IRR²³</i>	-	-
<i>B/C²⁴</i>	0,71	0,60

¹⁹ ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 8 515 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 8 000 000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი, ხოლო კვლევის ხარჯი - 15 000 ლარი

²⁰ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯები

²¹ შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

²² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

²³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

²⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

პროექტის წარმომდგენის მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე მიზანშეუწონელია სკოლის რეაბილიტაცია, ამიტომ პროექტში წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი სკოლის აშენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ შენობაში დილის და საღამოს ცვლებში ორი სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას, შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას, ასევე დისკომფორტს უქმნის მშობლებს გაზრდილ დისტანციაზე შვილების ტრანსპორტირების პროცესში. პროექტის განხორციელების შედეგად, გლდანი-ნაძალადევის რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის განხორციელება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

დანართი#: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

6. ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	სკოლის კუთვნილ 5828 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დამხმარე სასწავლო კორპუსში განთავსდება დამატებით საკლასო ოთახები, საგნობრივი კაბინეტები, სკოლის სპორტული და სააქტო დარბაზები, სასადილო, სსსმ მოსწავლეთათვის რესურსოთახი და სხვა. ამ მნიშვნელოვანი თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის საზოგადოება არ იქნება წინააღმდეგი ა(ა)იპ - სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლას გადაეცეს მის მიერ დაკავებული 591.92 კვ.მ ფართი (ხელოვნების სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე სკოლის საზოგადოება არ მიიჩნევს მიზანშეწონილად მის განთავსებას სკოლისთვის ასაშენებელ ახალ სასწავლო კორპუსში). ხელოვნების სკოლა შეძლებს კანონიერი საფუძვლით გადაცემული ფართის რეაბილიტაციის შედეგად მოწესრიგებულ გარემოში მიიღოს და არაფორმალურ განათლებაში ჩართოს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეები.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	სკოლის მდგომარეობა მართლაც კრიტიკულია, რადგან არ აქვს შემდეგი საჭიროების ფართები: სპორტული და სააქტო დარბაზები; რესურსოთახი სსსმ მოსწავლეებისათვის (სკოლაში 19 სსსმ მოსწავლე სწავლობს); სტანდარტული ზომის სასადილო; საკლასო ოთახების უმეტესობა მცირე ზომისაა (35-40 კვ.); საგნობრივი კაბინეტები (ბიოლოგიის, ფიზიკის); საპირფარეშოების რაოდენობა მცირეა (სტანდარტიდან გამომდინარე 1000 მოსწავლეზე მინიმუმ 6 საპირფარეშოა საჭირო; სკოლაში სულ 3 საპირფარეშოა, ვაჟებისათვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი). სკოლის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების ერთადერთი რეალური გზა სკოლის სარგებლობაში არსებული 5828 კვ.მ მიწის ნაკვეთის ეფექტურად გამოყენებაა. ამ მიწის ნაკვეთზე ადრეც იდგა ერთსართულიანი შენობა, რომელშიც განთავსებული იყო სპორტული და სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა და სწავლებისთვის საჭირო სხვა ფართი. სამწუხაროდ, 90-იან წლებში ეს შენობა დაინგრა მაშინდელი განათლების სამინისტროს მიერ ახლის აშენების მოტივაციით.

	დანგრევის შემდეგ ეს მიწის ნაკვეთი გასხვისებულ იქნა უკანონოდ და სკოლას მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად სასამართლოს გზით დაუბრუნდა თავის სარგებლობაში. ასეთი ვითარების გამო სკოლა ყოველწლიურად ზღუდავს ახალი კონტინგენტის მიღებას, თუმცა სკოლაში სწავლის მსურველთა რიცხვი დიდია. ფართის დეფიციტი უარყოფითად აისახება მშობლებისა და მოსწავლეების განწყობაზე. ისინი აპროტესტებენ საპირფარეშოების ნაკლებობას, აგრეთვე იმასაც, რომ მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილებზე მცირე ზომის საკლასო ოთახებში უწევთ ვარჯიში; ხელი ეშლება სკოლაში სპორტული აქტივობების ჩატარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სხვა.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მაჩასიათებლები		
	არაფრის კეთება	სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა
<i>მოთხოვნილი დაფინანსება²⁵</i>	-	10 500 000 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები²⁶</i>	1 357 013 ლ	1 275 432 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი²⁷</i>	1 310 808 ლ	1 240 402 ლ
<i>NPV²⁸</i>	-265,246.36 ლ	-10,622,031.43 ლ
<i>IRR²⁹</i>	-	-
<i>B/C³⁰</i>	0,98	0,56

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

²⁵ სასწავლო კორპუსის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 10 500 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 10 000 000 ლარს, ხოლო სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი

²⁶ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი

²⁷ შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

²⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

²⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

³⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

პროექტში წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა.

1,100 მოსწავლეზე გათვლილ სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება ფართის მწვავე დეფიციტის პირობებში. ისედაც პატარა შენობის მდგომარეობა დამძიმებულია იმითაც, რომ სკოლის კანონიერ სარგებლობაში არსებულ ერთ ფლიგელში (მძიმე ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაში არსებულ ფართში) წლებია განთავსებულია ა(ა)იპ - სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლა. გამომდინარე აქედან, სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას და შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის განხორციელება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

დანართი#: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

7. ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	სსიპ ქალაქ თბილისის N158 საჯარო სკოლა - მდებარეობს ვაშლიჯვარში და განთავსებულია 3 519 კვ.მ ფართობზე. მოსწავლეთა რაოდენობა - 483. სკოლის ტერიტორიაზე დგას 3 კორპუსი, აქედან ერთ კორპუსში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, მეორე კორპუსი ავარიულია და ექვემდებარება დემონტაჟს, მესამე კორპუსის მშენებლობა დაწყებულია წლების წინ და ამჟამად მიტოვებული, შავი კარკასის მდგომარეობაშია. წარმოდგენილი პროექტი ეხება 700 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის შენობის აშენებას. პროექტის ჯამური სავარაუდო ღირებულება - 6 500 000 ლარი.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	ზოგადად, ვაკე-საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სიმწვავით დგას საჯარო სკოლების ავარიულობისა და მშენებლობისთვის არასაკმარისი ფართების პრობლემა, სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა კი ყოველწლიურად მზარდია. შესაბამისად, აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება. სკოლაში დღესდღეობით სწავლობს 483 მოსწავლე, ბოლო 5 წლის განმავლობაში მოსწავლეთა კონტიგენტი გაიზარდა 100 მოსწავლით. ვაშლიჯვარში მხოლოდ ეს ერთი სკოლაა და მოსახლეობა საკმაოდ მზარდია. ბოლო 3 წლის განმავლობაში სკოლის გარშემო უამრავი ახალი კორპუსი აშენდა. შესაბამისად სკოლა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არ არსებობს კაბინეტ-ლაბორატორიები (მხოლოდ ისტ), არც სააქტო და არც სპორტული დარბაზები. მანდატურები და სპეც.მასწავლებელი იკავებენ ერთ საკლასო ოთახს. სკოლის ბუფეტის ფართი 18კვ.მ.-ია. სკოლას არა აქვს ბიბლიოთეკა. სკოლის რამდენიმე საკლასო ოთახი ფართი, მხოლოდ 18 კვ.მ. სკოლის თავისებური აგებულებიდან გამომდინარე, შეუძლებელია შეზღუდული გადაადგილების მქონე, ასევე ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების მიღება. სკოლას არა აქვს ფოიე, ცენტრალური შესასვლელი, მხოლოდ სათადარიგო კარებიდან ხდება მოსწავლეების მიღება. სკოლის ეზოს ფართი დაახლოებით 13000 კვ.მ , რაც საშუალებას იძლევა აშენდეს ახალი სკოლა.

	თან ისე, რომ სკოლას ალტერნატიული ფართის მონახვა არ დასჭირდეს მშენებლობის პერიოდში.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ახალი სკოლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება ³¹	-	6 500 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ³²	434 896,0 ლ	472 612,0 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ³³	395 000,0 ლ	600 000,0 ლ
NPV ³⁴	-997 062,60 ლ	-5 690 201,85 ლ
IRR ³⁵	-	-
B/C ³⁶	0,84	0,58

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, კმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

პროექტის წარმომდგენის მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე მიზანშეუწონელია სკოლის რეაბილიტაცია, ამიტომ პროექტში წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი სკოლის აშენება.

³¹ ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 6 500 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 6 000 000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი.

³² ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯები

³³ შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

³⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

³⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

³⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ავარიულ შენობაში სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას, შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას. პროექტის განხორციელების შედეგად, ვაკე-საბურთალოს რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის განხორციელება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

დანართი#: გთხოვთ, იხილოთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

8. ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	სსიპ ქალაქ თბილისის N209 საჯარო სკოლის შენობა შედგება ორი ნაწილისაგან: ძველი და ახალი კორპუსისაგან. ძველი ნაწილი (100 წელზე მეტი ხნისაა) ავარიული და საფრთხის შემცველია (ჭერი და კედლები ინგრევა), ჯერ კიდევ ფუნქციონირებს გარე სველი წერტილები, რის გამოც ეს შენობა სრულიად გამოუსადეგარია. სსიპ - ქ. თბილისის №209 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია 350 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის აშენება. მოსწავლეებს ექნებათ ინოვაციური, ენერგოეფექტური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს. ასევე, ახალი სკოლის შენობა, სკოლისა და თემის თანამშრომლობის პროცესში, თავისი რეკრეაციული სივრცეებითა და ინფრასტრუქტურით გახდება საუკეთესო რესურსი ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მოსწავლეებს ექნებათ სახლთან ახლოს, დილის ცვლაში, სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა კომფორტულ და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოში. ამასთან, დაიზოგება ტრანსპორტირების ხარჯები, რადგან ამჟამად სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის შენობაში, მეორე ცვლაში. შენობის ფართი - 4 266 მ2, ხოლო პროექტის ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5 500 000 ლარს.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	სკოლის შენობის საგანგაშოდ ავარიული მდგომარეობის გამო სკოლის დირექციამ წლების მანძილზე არაერთხელ მიმართა სხვადასხვა უწყებას. სააგენტოს მიერ იგეგმებოდა სკოლის ახალ შენობაზე დამატებით ფართის მიშენება 10 საკლასო ოთახის და სველი წერტილის განთავსების მიზნით. თუმცა ადგილზე ტერიტორიის შესწავლისას დადგინდა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება შეუძლებელია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილებით №41 დამტკიცებული "ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ გათვალისწინებით, შესაძლებელია მხოლოდ სველი წერტილის, მიშენების გზით, სკოლის შენობაში შეტანა და სკოლის რეაბილიტაცია, რაც არ იქნება საკმარისი სკოლის სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის.

	იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სკოლის ძველი შენობის ნაწილის გამოსყიდვა კერძო მესაკუთრისგან და განხორციელდება ორივე შენობის დემონტაჟი, სკოლის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება დაიგეგმოს ახალი საჯარო სკოლის შენობის მშენებლობა. მესაკუთრე თანახმაა მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ დათმოს სკოლისთვის. ვინაიდან, სკოლის შენობა ინფრასტრუქტურულად მოუწესრიგებელი და საფრთხის შემცველია, 2020-2021 სასწავლო წელს სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის შენობაში, მეორე ცვლაში. ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირებაც ალტერნატიული ფართის სახით შერჩეულ N59 საჯარო სკოლამდე. სამინისტროს მიერ ახალგაშენებულ N59 საჯარო სკოლაში სწავლობს 1000-მდე მოსწავლე. ერთი სკოლის შენობაში ორი საჯარო სკოლის ფუნქციონირება გარკვეულ რისკებს შეიცავს. განსაკუთრებით, საყურადღებოა, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესრულების ვალდებულება, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება სრულად და ხარისხიანად მოითხოვს ადამიანური და ფინანსური რესურსის დიდ დანახარჯს.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	სკოლის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება ³⁷	-	5 500 000 ლ
სამუშაო წლიური ხარჯები ³⁸	397 133,6 ლ	499 531,6 ლ

³⁷ სასწავლო კორპუსის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 5 500 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 5 000 000 ლარს, ხოლო სკოლის აღჭურვის ხარჯია - 500 000 ლარი

³⁸ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი

საშუალო წლიური შემოსავალი ³⁹	355 301,9 ლ	436 217,0 ლ
NPV ⁴⁰	-327 671,54 ლ	-6 006 383,38 ლ
IRR ⁴¹	-	-
B/C ⁴²	0,92	0,46

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა. ასევე, პროექტი შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებთან (4.ა.1).

პროექტში წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი სკოლის მშენებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ავარიულ შენობაში სკოლის ფუნქციონირება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას, შეუძლებელს ხდის მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას. ამასთან, მოსწავლეებს უწევთ სხვა სკოლაში სწავლა მეორე ცვლაში და სამინისტრო ახორციელებს მათ ტრანსპორტირებას. პროექტის განხორციელების შედეგად, გლდან-ნაძალადევის რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება.

პროექტი, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის განხორციელება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

დანართი#: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

³⁹ შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი

⁴⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁴¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁴² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

9. სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	თბილისში, წერეთლის გამზირი 134-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (სკ 01.13.04.017.019) იგეგმება ხელოვნების კოლეჯის ახალი შენობის პროექტირება და მშენებლობა. პროექტის მიხედვით შენობა ხუთსართულიანია. ყოველწლიურად კოლეჯში პროფესიულ განათლებას საკვალიფიკაციო და მოკლევადიან პროგრამებზე მიიღებს 300-მდე სტუდენტი. ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულების შემდგომ, სამიზნე ჯგუფი იქნება 14 წლიდან ზევით ასაკის ყველა ბენეფიციარი.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	სსიპ თბილისის ხელოვნების კოლეჯი ამ ეტაპზე განთავსებულია დროებით ფართში. შენობაში არსებული ფართის სიმცირის გამო კოლეჯი ვერ ახდენს მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განხორციელებას არასაკმარისი თეორიული აუდიტორიებისა და თანამედროვე სასწავლო სახელოსნოების ნაკლებობის გამო. 1. კოლეჯის კურსდამთავრებულთა სრული უმეტესობა შეძლებს დასაქმებას ან თვითდასაქმებას; 2. კოლეჯის კურსდამთავრებულები შეძლებენ ისეთი ნაკეთობების დამზადებას, რომლებიც მნიშვნელოვან წილს დაიკავებენ არსებულ სასუვენირო ბაზარზე; 3. კოლეჯის კურსდამთავრებულები შეძლებენ ისეთი ნაკეთობების დამზადებას (არასასუვენირო განხორციელებას), რომლითაც მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაანაცვლდეს იმპორტირებული ნაწარმი (მაგალითად კერამიკა და ხის ნაკეთობები); 4. კოლეჯში განხორციელდება სხვადასხვა საკვალიფიკაციო პროგრამები და იფუნქციონირებს თანამედროვე სახელოსნოები. ამასთანავე შესაძლებელი იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოკლე ვადიანი პროგრამების განხორციელება, რაც სწრაფ დასაქმებას და კერძო სექტორის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. მიუხედავად შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა, კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტების მომზადებას და დეფიციტური პროფესიების აღმოფხვრას.

შეფასების პერიოდი	15 წელი
-------------------	---------

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება ⁴³	-	7 105 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁴⁴	172 563 ლ	1 204 417 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁴⁵	110 089 ლ	1 447 162 ლ
NPV ⁴⁶	-635,832.56 ლ	-4,052,177.54 ლ
IRR ⁴⁷	-	-8%
B/C ⁴⁸	0,66	0,79

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

პროექტის წარმომდგენის მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე მიზანშეუწონელია ლოკაციის შერჩევის ალტერნატივის განხილვა, ამიტომ პროექტის შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილია ორი ალტერნატივა არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა, კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტების მომზადებას და დეფიციტური პროფესიების აღმოფხვრას. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია 300 სტუდენტზე გათვლილი ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა, რითაც ხელი შეეწყობა საქართველოში ისტორიულად ტრადიციული სახელოვნებო დარგების აღორძინებას და კურდამთავრებულების დასაქმებას.

ინიციატორის მიერ წარმოდგენილი გათვლების გათვალისწინებით პროექტი არ აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. ამასთან, პროექტი საჭიროებს დამატებით განხილვას,

⁴³ ხელოვნების კოლეჯის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 7 105 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 7 000 000 ლარს, ხოლო აღჭურვის ხარჯია - 105 000 ლარი,

⁴⁴ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი,

⁴⁵ შემოსავლებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი

⁴⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁴⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁴⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის დაფინანსება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

დანართი#: გთხოვთ, იხილოთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

10. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარეები დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის პარტნიორი ევროპული სკოლები დაგეგმარებულია დარგის იდენტური სივრცეებითა და აღჭურვილია საწარმოო დონის ტექნიკით. საქართველოს მედია ბაზარზე მოქმედ მედიასაშუალებებში კვალიფიციურ დასაქმებულთა თითქმის 7-12% კოლეჯის კურსდამთავრებულია (დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 82%). ამდენად, კოლეჯის განვითარების მიზნით, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში არა მხოლოდ მედიის განვითარებას, მნიშვნელოვანია მისთვის სპეციალურად დაგეგმარებული თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი შენობის აშენება, რაც თავის მხრივ კოლეჯზე საერთაშორისო მოთხოვნასაც გააჩენს. პროექტის რეალიზაცია მთლიანად მოხსნის არსებულ პრობლემებს; სტიმულს მისცემს კოლეჯის როგორც სასწავლო და შემოქმედებითი დაწესებულების განვითარებას, მის ინტერნაციონალიზაციას, საერთაშორისო სასწავლო და შემოქმედებით პროექტებში ჩართულობის ინტენსივობას, მოკლევადიანი საერთაშორისო პროგრამების განვითარებას, სტუდენტური ტელე-რადიო მაუწყებლობის ამოქმედებას, მძლავრი სტუდენტური მედია ცენტრის ფორმირებას.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	2020 წელს კი 1:5,7. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დადასტურების მიუხედავად კოლეჯი ვერ ახორციელებს 6 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამას. ფართის სიმცირის გამო შეჩერებულია მედია ბაზარზე მოთხოვნადი კვალიფიკაციებისთვის (განათლების ტექნიკოსი, ხმის ოპერატორი, საინფორმაციო პროგრამების პროდიუსერი, სატელევიზიო სივრცის დიზაინერი, ანიმატორი) სტანდარტული და ინტეგრირებული პროგრამების რეალიზაცია. კოლეჯი ვეღარ მონაწილეობს სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი დაწყებითი უნარების განვითარების პროექტშიც. ჯამში, ყოველწლიურად კოლეჯს აკლდება 150-180 სტუდენტი, რომლებზეც მოთხოვნა დარგიდან მუდმივად იზრდება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კოლეჯი

	წარმოადგენს ქვეყანაში ამ მიმართულების ერთადერთ სასწავლო დაწესებულებას. მხედველობაში მისაღებად ის გარემოებაც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კოლეჯის აფილირება ზრდის მასზე საზოგადოების დაკვეთას. ორ ცვლაში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად ხდება A, B და C სასწავლო გარემოს ცვლილება საერთო ფართის იმ ნაწილში, რომელიც განკუთვნილია სწავლისთვის და შეადგენს 302,4კვ.მ-ს. დერეფანს უკავია 120კვ.მ-ზე მეტი ფართი. 110 კვ.მეტრამდე ფართს იკავებს ტექნიკური, დამხმარე, სანიტარულ ჰიგიენური სათავსოები და ადმინისტრაცია. გასული საუკუნის 40-ან წლებში აგებული ამ შენობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი თუნდაც ერთი ნაწილის გადაკეთება (ფართის მომატება, ჭერის ამალღება სატელევიზიო, ფოტო, აუდიო და საინკრუსტაციო სტუდიებისთვის ან სართულის დაშენება) და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრული დაკმაყოფილება. მხოლოდ ბოლო მიზეზის გამო, ავტორიზაციის ახალი სტანდარტის მიხედვით, 31 წლის ისტორიის მქონე კოლეჯი 2024 წელს სავარაუდოდ ავტორიზაციას ვეღარ გაივლის.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ტელე-ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება⁴⁹	-	6 100 000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები⁵⁰	1 347 926.4 ლ	1 715 910.4 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი⁵¹	788 861 ლ	1 474 828.9 ლ
NPV⁵²	-5,932,891.24 ლ	-8,110,103.19 ლ

⁴⁹ ტელ-ხელოვნების კოლეჯის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 6 100 000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 6 000 000 ლარს, ხოლო აღჭურვის ხარჯია - 100 000 ლარი,

⁵⁰ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი,

⁵¹ შემოსავლებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი

⁵² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

<i>IRR</i> ⁵³	-	-
<i>B/C</i> ⁵⁴	0,60	0,66

სამუშაო ჯგუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი 15 წლიან პერსპექტივაში (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი).

თუმცა, პროექტი სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და პროექტის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა.

პროექტის წარმომდგენის მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე მიზანშეუწონელია ლოკაციის შერჩევის ალტერნატივის განხილვა, ამიტომ პროექტის შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილია ორი ალტერნატივა: არაფრის კეთება, სადაც განხილულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ახალი ტელე-ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა.

არსებული მაკროპარამეტრების გათვალისწინებით შესაძლებელია განხილული იქნეს პროექტის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება, კერძო სექტორის დაინტერესება და მათი ჩართულობის გაზრდა.

დანართი#: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

⁵³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁵⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

11. სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალური ოფისის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალური ოფისის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარე/უწყება	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
პროექტის მოკლე აღწერა	სახალხო დამცველის აპარატისათვის განკუთვნილი, თბილისში, ნ.რამიშვილის #6-ში მდებარე შენობა ავარიულობის გამო ვერ უზრუნველყოფდა თანამშრომლებისათვის უსაფრთხო სამუშაო პირობებს, ხოლო განმცხადებლებისათვის - უსაფრთხო გარემოს. შენობას პერიოდულად უტარდებოდა ექსპერტიზა მდგომარეობის შეფასების მიზნით. ბოლო ასეთი ექსპერტიზა 2018 წლის 15 ივნისს ჩატარდა. საინჟინრო ექსპერტიზის #004087518 დასკვნის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და აღდგენა-გამდიერებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე მისი შემდგომი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. 2018 წლის აგვისტოდან სახალხო დამცველის ცენტრალური ოფისი მუშაობას აღმაშენებლის ქ. N150-ში აგრძელებს, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და აღნიშნული ფართის იჯარის ღირებულება 2018 წლიდან დღემდე (2020 წლის 25.09.20-საკასო ხარჯი) შეადგინა 2 575 511.00 (ორი მილიონ ხუთას სამოცდათხუთმეტი ათას ხუთას თერთმეტი) ხოლო ის საოფისე ფართი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატს ამჟამად იჯარით აქვს დაქირავებული სრულად არ პასუხობს სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნებს, არ არის საკმარისი ოთახები თანამშრომლებისთვის, არ არის გათვალისწინებულ საკონფერენციო სივრცე, არ არის საკმარისი რაოდენობის ინდივიდუალურ შეხვედრების ოთახი, არქივის სივრცე, პარკინგის ზონა, არ არის ადაპტირებული შუშ პირთათვის.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში ბენეფიციარებს/განმცხადებლებს და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს ექნებათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემო, ახალი ოფისის შენობა სრულად იქნება

	მორგებული სახალხო დამცველის აპარატის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. გათვალისწინებული იქნება ყველა საჭირო სივრცე, ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის (როგორც შშმ პირთა კონვენციის ინპლემენტაციის ორგანო ჩვენი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობა) კონფერენციის სივრცე, თათბირის ოთახები, ინდივიდუალური შეხვედრების ოთახები, პარკინგის ზონა, რეკრეაციული ზონა და ა.შ. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს მუშაობაში. აღსანიშნავია, ასევე რომ პროექტის დასრულების შემდგომ სახელმწიფო ბიუჯეტში დაიზოგება სახალხო დამცველის აპარატის ოფისის იჯარის ხარჯები.
შეფასების პერიოდი	15 წელი

დაშვებები:

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ახლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება	-	8,300,000 ლ
კაპიტალური ხარჯი	-	8,300,000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁵⁵	6,577,212.8 ლ	5,145,055.5 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁵⁶	-	-
NPV	-71,770,066.48 ლ	-61,515,062.43 ლ
IRR ⁵⁷	-	-
B/C ⁵⁸	-	-

⁵⁵ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი იჯარის ხარჯი

⁵⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁵⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

სამუშაო გეუფის მოსაზრება და რეკომენდაცია:

წარმოდგენილი პროექტი შეფასდა 15 წლის პერსპექტივაში (მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების მიხედვით). პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არ არის მომგებიანი (დეტალური გამოთვლებისათვის იხილეთ დანართი). თუმცა, პროექტი მნიშვნელოვანია, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ვალდებულია შეუქმნას მას მუშაობის სათანადო პირობები. შენობით უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ამ მიმართულებით. პარიზის პრინციპები, რომელიც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სტატუსს შეეხება, დამოუკიდებლობის გარანტიების ნაწილში მიუთითებს, რომ „ეროვნულ ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს ინფრასტრუქტურა.

პროექტი აკმაყოფილებს შემდგომ ეტაპზე გადასვლის კრიტერიუმებს. გათვალისწინებულია 2021-2024 წლების საშუალოვადიან ჩარჩოში.

დანართი: გთხოვთ, იხილეთ კალკულაციების და კონცეფციის დოკუმენტები

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების რეესტრი (იხილეთ დანართი)

*დანართი - საინვესტიციო პროექტების კონცეფციის ბარათები და ტექნიკურ-
ეკონომიკური კვლევის დოკუმენტები*

(თან ერთვის)